ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2411254

ნომერი: AR1372030

თარიღი : 25.01.2016

გაცემის თარიღი : 01.02.2016

გაცნობის თარიღი : 01.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს ,მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის(ნაკვ. 10/22);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გერასიმე ხეცურიანი პ/ნ 01013002443
- თბილისი დ. წყნეთი სტალინის შეს. N 18

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1372030 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის (ნაკვ.#10/22) შ.პ.ს. ,,ან–ჯი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, ნებისმიერი პროექტის შეთანხმებას სასამართლო დავის

საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 21 იანვარს #AR1372110 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე გიორგი ანდრიაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის (ნაკვ.#10/22) შ.პ.ს. ,,ან–ჯი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.13.05.010.022) 2,2მ-მდე სიმაღლის თუნუქის ღობის მოწყობის ნებართვა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი განაცხადი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (#01.13.05.010.022) მითითების შემთხვევაში.